აქტი№589

მომსახურების მიღება-ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 30 ოქტომბერი, 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია (შემდგომში _ შემსყიდველი), ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი მალანია, ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი მამუკა მელიქიძე და ამავე სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ქვაჩახია, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს გიდების ასოციაცია (შემდგომში _ მიმწოდებელი) პრეზიდენტი ქეთი მელაძე ვადასტურებთ, რომ 2018 წლის 9 ოქტომბრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №1-493 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ქალაქ ბრისტოლის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში მინდინარე წლის 11 ოქტომბერს შემსყიდველმა ჩაიბარა, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა ინგლისურენოვანი გიდის მომსახურება თბილისის მასშტაბით.

გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 187 (ასოთხმოცდაშვიდი) ლარს.

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. თბილისი,
ჟ. შარტავას ქ№7
ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა"
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204 521 794

ადმინისტრაციის უფროსი:
ვ. ჭიღლაძე

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე:
გ. მალანია

სამსახურის უფროსი:
მ. მელიქიძე

განყოფილების უფროსი:
გ. ქვაჩახია

შემსრულებელი:
ე. ბასილაშვილი

მიმწოდებელი:

საქართველოს გიდების ასოციაცია
მის: ქ. თბილისი,
ჯანაშიას ქ.5
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE87BG0000000879308900
ს/კოდი: 404379828

საქართველოს გიდების ასოციაციის
პრეზიდენტი

ქ. მელაძე

საქართველოს გიდების ასოციაცია
ჯანაშიას ქ. 5, თბილისი
ტელ: (+995 32)2309620
ელ.ფოსტა:contact@guides.ge

გადახდის მოთხოვნა # AC-061018

თბილისი, 2018 წლის 06 ოქტომბერი

კლიენტი:
ქ. თბილისის მერია
ჟ. შარტავას ქ. #7
0160, თბილისი ტელ.: (+995 32) 2 37 83 82

ხარჯის აღწერა	თანხა (ლარი)
ინგლისურენოვანი გიდის, ქეთევან ბოტკოველის მომსახურება თბილისის მასშტაბით 11 ოქტომბერს	187.00
სულ გადასახდელი (ლარი)	187.00
თანხა სიტყვიერად	ას ოთხმოცდა შვიდი ლარი და ნოლი თეთრი

გთხოვთ, თანხა ჩარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს გიდების ასოციაცია ჯანაშიას ქ. 5, 0179 თბილისი ს/კ: 404379828 სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE87BG0000000879308900

თანხის ჩარიცხვისას: გთხოვთ, მიუთითოთ შემდეგი მონაცემები:

კლიენტის მონაცემები:	ქ. თბილისის მერია
გადახდის საფუძველი:	ინგლისურენოვანი გიდის, ქეთევან ბოტკოველის მომსახურება თბილისის მასშტაბით 11 ოქტომბერს
გადახდის მოთხოვნის #:	# AC-061018

პატივისცემით,

ქეთი მელაძე
ასოციაციის პრეზიდენტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-493

„ 9 „ ოქტომბერი 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ქალაქ ბრისტოლის დელეგაციის ვიზიტის თაობაზე

2018 წელს აღინიშნება ქალაქ თბილისსა და ქალაქ ბრისტოლს შორის დაძმობილების 30 წლის იუბილე. აღნიშნულთან დაკავშირებით 2018 წლის 11-13 ოქტომბერს ქალაქ თბილისს საქმიანი ვიზიტით ეწვევა ქალაქ ბრისტოლის მერი მარვინ რიისი და ქალაქ ბრისტოლის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი ალიქს ჰიუზი. 2018 წლის 11 ოქტომბერს, ვიზიტის ფარგლებში ქალაქ ბრისტოლის დელეგაციის წევრები, ბრისტოლის სავაჭრო პალატის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს დური და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯასტინ მაკეწზი სმიტი გამართავენ ოფიციალურ შეხვედრას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან კახა კალაძესთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ილია ელოშვილთან.

ზემოაღნიშნული ღონისძიების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „პ“ ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 6-8 დადგენილების მე-14 მუხლის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2018 წლის 9 ოქტომბრის N 04-01182823907 წერილობითი მომართვის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, 2018 წლის 11-13 ოქტომბერს ქალაქ ბრისტოლის მერის ბატონი მარვინ რიისის და თანმხლები დელეგაციის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ვიზიტის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, განახორციელოს ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების ხარჯების ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროგრამით „მერიის ადმინისტრაცია“ (კოდი: 10 02) წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს ვლადიმერ ჭიღლაძეს.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ქალაქ ბრისტოლის

დელეგაციის ვიზიტის

პროგრამა

2018 წლის 11-13 ოქტომბერი

დელეგაციის შემადგენლობა:
1. მარვინ რიისი-ქალაქ ბრისტოლის მერი
2. ალიქს ჰიუზი-ქალაქ ბრისტოლის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი

11 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

დრო		ღონისძიება
05:00	-	**დახვედრა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში;**
07:00	-	**განთავსება სასტუმროში „სტამბა“** **მარვინ რიისი-ქალაქ ბრისტოლის მერი;**
07:00	-	**განთავსება სასტუმროში „რუმსი“** **ალიქს ჰიუზი-ქალაქ ბრისტოლის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი;**
11:00-13:00	-	**თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ინგლისურენოვანი გიდის თანხლებით.** **ღონისძიებაში მონაწილე პირები:** 1. მარვინ რიისი-ქალაქ ბრისტოლის მერი; 2. ალიქს ჰიუზი-ქალაქ ბრისტოლის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი; 3. ჯეიმს დური- ბრისტოლის სავაჭრო პალატის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი; 4. ჯასტინ მაკენზი სმიტი-დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში; 5. ნინო ბეგლარიშვილი-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციის მერიის აპარატის (სამსახური)საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
15:00-16:00	-	**შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინგლისურენოვანი თარჯიმნის თანხლებით.** **დამსწრე პირები:** 1. მარვინ რიისი-ქალაქ ბრისტოლის მერი; 2. ალიქს ჰიუზი-ქალაქ ბრისტოლის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი; 3. ჯეიმს დური- ბრისტოლის სავაჭრო პალატის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი; 4. ჯასტინ მაკენზი სმიტი-დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში; 5. კახა კალაძე-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი; 6. ილია ელოშვილი-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

		7. ნინო ბეგლარიშვილი-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციის მერიის აპარატის (სამსახური)საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი სპეციალისტი; პროტოკოლით გათვალისწინებული სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა: ბატიკა, ღვინო "კონდოლის საფერავი" (შპს „თელავის მარანი") , ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები (შპს „ბადაგი"), შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi" (შპს „ბარამბო და კომპანია"), ბრენდირებული ჩანთა. საჩუქარი გადაეცემა: 1. ქალაქ ბრისტოლის მერს მარვინ რიისს-ბატიკა, ღვინო "კონდოლის საფერავი" (შპს „თელავის მარანი") ,ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები (შპს „ბადაგი"), შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi" (შპს „ბარამბო და კომპანია"), ბრენდირებული ჩანთა. 2. ქალაქ ბრისტოლის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელს ალიქს ჰიუზს-ღვინო "კონდოლის საფერავი" (შპს „თელავის მარანი") ,ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები (შპს „ბადაგი"), შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi" (შპს „ბარამბო და კომპანია"), ბრენდირებული ჩანთა. 3. ბრისტოლის სავაჭრო პალატის მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ჯეიმს დურს-ღვინო "კონდოლის საფერავი" (შპს „თელავის მარანი") ,ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები (შპს „ბადაგი"), შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi" (შპს „ბარამბო და კომპანია"), ბრენდირებული ჩანთა. 4. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ჯასტინ მაკენზი სმიტს-ღვინო "კონდოლის საფერავი" (შპს „თელავის მარანი") ,ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები (შპს „ბადაგი"), შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi" (შპს „ბარამბო და კომპანია"), ბრენდირებული ჩანთა.

12 ოქტომბერი, პარასკევი.

დრო		ღონისძიება
10:00-12:00	-	„ბრისტოლის ბიზნეს-კონფერენცია" თიბისი ბანკის საკონფერენციო დარბაზში. მის: მარჯანიშვილის ქ. 7 სიტყვით გამოსვლა: 1. მარვინ რიისი-ქალაქ ბრისტოლის მერი; 2. კახა კალაძე-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;
17:30-19:00	-	თბილისი- ბრისტოლის დაძმობილების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოში.

13 ოქტომბერი, შაბათი.

დრო		ღონისძიება
06:00	-	გამგზავრება თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან.